**საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს**

**გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა**

**ქ. თბილისი** **2022 წლის 6 მაისი**

**დისციპლინური საქმე №110/20**
**მოსამართლე -- -- მიმართ**
**დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე**

ა(ა)იპ -- -- თავმჯდომარე -- -- 2020 წლის 1 ოქტომბრის №110 საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[5] მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 75[6] მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2020 წლის 18 ნოემბრის №110/20 დასკვნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს განსახილველად წარედგინა 2022 წლის 6 მაისის სადისციპლინო სხდომაზე.

**1. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივარში მითითებულ შემდეგ ფაქტზე:**

1.1. საჩივრის ავტორი მიუთითებს, რომ 2020 წლის 21 იანვარს განცხადებით მიმართა -- სააპელაციო სასამართლოს. აღნიშნულ განცხადებას დაუდგინდა ხარვეზი. ხარვეზის შევსების მიუხედავად განცხადების შედეგი მხარისათვის საჩივრის წარმოდგენის დროისათვის უცნობია.

1.2. საჩივრის ავტორის განცხადებით საეჭვოა ის ფაქტი, რომ მოსამართლე -- -- ერთპიროვნულად განიხილა შპს -- -- და შპს -- -- სააპელაციო საჩივრები ორ სხვადასხვა საქმეზე.

**2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:**

**2.1. საქმე №-**

2.1.1. 2015 წლის 9 ივლისს, შპს -- -- და შპს -- -- სარჩელით მიმართეს -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე -- -- მუნიციპალიტეტის სსიპ -- -- მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის (შემდგომში არქიტექტურის სამსახური) მიმართ და მოითხოვეს არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 24 ივნისის №-- გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და დავალება გამოსცეს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, კერძოდ, დაადგინოს მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები მიწის ნაკვეთებზე საკადასტრო კოდებით: --; --; --.

-- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 14 ივლისის განჩინებით შპს -- -- და შპს -- -- სარჩელი მიღებულ იქნა სასამართლოს წარმოებაში და ცნობილ იქნა დასაშვებად.

-- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 24 იანვრის გადაწყვეტილებით შპს -- -- და შპს -- -- სასარჩელო განცხადება არ დაკმაყოფილდა.

2.1.2. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს შპს -- -- და შპს -- -- 2016 წლის 16 მარტს.

-- სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 24 აპრილის განჩინებით შპს -- -- და შპს -- -- სააპელაციო საჩივარი მიღებულ იქნა განსახილველად.

-- სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მოსამართლის -- -- 2018 წლის 20 თებერვლის გადაწყვეტილებით შპს -- -- და შპს -- -- სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა -- -- სასამართლოს 2016 წლის 4 იანვრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; შპს -- -- და შპს -- -- სარჩელი დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 24 ივნისის №-- გადაწყვეტილება; მოპასუხე არქიტექტურის სამსახურს დაევალა ახალი ადმინისტრაცულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა -- --, საქართველოს სამხედრო გზაზე, -- და -- ქუჩებს შორის არსებულ მიწის ნაკვეთების სამშენებლო გამოყენების პირობების დადგენის თაობაზე კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად დადგენილ ვადაში.

2.1.3. აღნიშნული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა არქიტექტურის სამსახურმა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 6 ივლისის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული არქიტექტურის სამსახურის საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 4 ოქტომბრის განჩინებით საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დაუშვებლად.

2.1.4. -- სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების ბათილად ცნობის თაობაზე განცხადებით მიმართა ა(ა)იპ-- -- თავმჯდომარე -- --.

-- სააპელაციო სასამართლოს 2020 წლის 13 იანვრის განჩინებით განცხადების ავტორს დაუდგინდა განცხადებაზე ხარვეზი და განცხადების ავტორს დაევალა იმ კონკრეტული გარემოებების მითითება, რომელთა საფუძველზეც მხარე ითხოვდა გადაწყვეტილების ბათილად გამოცხადებას.

ა(ა)იპ -- -- თავმჯდომარემ ხარვეზის შევსების შესახებ განცხადებით -- სააპელაციო სასამართლოს მიმართა 2020 წლის 22 იანვარს.

-- სააპელაციო სასამართლოს 2020 წლის 31 იანვრის განჩინებით ა(ა)იპ -- -- განცხადება -- სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 20 თებერვლის გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და საქმის წარმოების განახლების თაობაზე დასაშვებად იქნა ცნობილი და საქმის განხილვა დაინიშნა ზეპირი მოსმენის გარეშე.

-- სააპელაციო სასამართლოს 2020 წლის 5 მაისის განჩინებით ა(ა)იპ -- -- განცხადება -- სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 20 თებერვლის გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და საქმის წარმოების განახლების თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

განჩინება მხარეს გაეგზავნა 2020 წლის 9 ოქტომბერს და ჩაბარდა 16 ოქტომბერს. განჩინება ა(ა)იპ -- წარმომადგენელმა გაასაჩივრა 2020 წლის 28 ოქტომბერს.

**2.2 საქმე №--**

2.2.1. 2015 წლის 8 აპრილს შპს -- -- და შპს -- -- წარმომადგენელმა -- -- სასარჩელო განცხადებით მიმართა -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხეების: არქიტექტურის სამსახურისა და -- -- მიმართ და მოითხოვა არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 26 აგვისტოს №-- გადაწყვეტილებისა და -- -- მერის მოადგილის 2015 წლის 10 მარტის №-- ბრძანების ბათილად ცნობა და ახალი ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება.

-- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 25 დეკემბრის განჩინებით შპს --, შპს -- -- სარჩელი დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 26 აგვისტოს №-- გადაწყვეტილება; ბათილად იქნა ცნობილი -- -- მერის მოადგილის 2015 წლის 10 მარტის №-- ბრძანება შპს -- -- და შპს -- -- ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე; მოპასუხე არქიტექტურის სამსახურს დაევალა, -- -- გზაზე, -- და -- ქუჩებს შორის, -- --, შპს -- -- და შპს -- -- საკუთრებაში არსებულ №-- და №-- საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე I კლასის 4 მეტრამდე, კერძოდ - 2,2 მეტრი სიმაღლის მქონე, ბადისებრი ღობის მოწყობის განხორციელების დადასტურების თაობაზე ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა.

2016 წლის 4 მარტს -- -- სასამართლოს გადაწყვეტილების განმარტების თაობაზე განცხადებით მიმართა შპს -- -- წარმომადგენელმა.

-- -- სასამართლოს 2016 წლის 7 მარტის განჩინებით გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-4 პუნქტის განმარტების თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

2.2.2. -- -- სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა -- -- მერიამ და -- -- არქიტექტურის სამსახურმა 2016 წლის 18 მარტს.

-- სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 6 აპრილის განჩინებით სააპელაციო საჩივრის ავტორს არქიტექტურის სამსახურს მიეცა 7 დღიანი ვადა -- სააპელაციო სასამართლოს სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი 150 ლარის ოდენობით.

-- სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 10 მაისის განჩინებით -- -- მერიისა და არქიტექტურის სამსახურის სააპელაციო საჩივარი მიღებული იქნა განსახილველად.

-- სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 7 ნოემბრის განჩინებით -- -- მერიის და არქიტექტურის სამსახურის სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 25 დეკემბრის გადაწყვეტილება. რაც საკასაციო წესით გასაჩივრდა -- -- მერიისა და არქიტექტურის სამსახურის მიერ.

2.2.3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 7 ივნისის განჩინებით ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული სსიპ -- -- არქიტექტურის სამსახურისა და -- -- მერიის საკასაციო საჩივრები.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2020 წლის 16 იანვრის განჩინებით -- -- მერიისა და არქიტექტურის სამსახურის საკასაციო საჩივრები მიჩნეულ იქნა დაუშვებლად; უცვლელად დარჩა -- სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 07.11.2017წ. განჩინება.

2.2.4. 2020 წლის 7 ივლისს -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას განცხადებით მიმართა ა(ა)იპ -- -- თავმჯდომარე -- -- და მოითხოვა -- -- სასამართლოს 2015 წლის 25 დეკემბრის გადაწყვეტილების ბათილად ცნობა.

-- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლე -- -- განჩინებით ა(ა)იპ -- -- თავმჯდომარის განცხადება მიღებულ იქნა განსახილველად. განჩინება მხარეს გეგზავნა 2020 წლის 10 აგვისტოს.

**3. დამოუკიდებელი ინსპექტორის 2020 წლის 19 ნოემბრის დასკვნა:**

ა(ა)იპ -- -- თავმჯდომარე -- -- 2020 წლის 1 ოქტომბრის №110 საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები არ შეიცავს მოსამართლე -- -- მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტით განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ნიშნებს.

**4. დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:**

4.1. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომად ჩაითვლება „მოსამართლის მიერ საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ვადის არასაპატიო მიზეზით არსებითად დარღვევა.“

იმისათვის, რომ დადგინდეს ჰქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს საჭიროა სამართლებრივი შეფასება მივცეთ მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შევაფასოთ კონკრეტული ფაქტები შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს. ამასთან, მნიშვნელოვანია განისაზღვროს რას წარმოადგენს - საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ვადის არასაპატიო მიზეზით არსებითი დარღვევა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ამ ვადის არსებითად დარღვევის მიზეზი არასაპატიოდ არ ჩაითვლება, თუ მოსამართლემ აღნიშნული ვადა უშუალოდ მართლმსაჯულების განხორციელებასთან დაკავშირებულ ობიექტურ გარემოებათა (საქმეთა სიმრავლე, საქმის სირთულე და სხვა) გამო ვერ დაიცვა. არსებითად დარღვევად უნდა ჩაითვალოს მოსამართლის ისეთი ქმედება, რომელმაც ზიანი მიაყენა მხარეს, სასამართლოს ან საჯარო ინტერესს.

საპროცესო ვადის არსებით დარღვევაზე მსჯელობისას აუცილებელია ყურადღება მიექცეს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლს (რომელიც მოიცავს სამართლიანი სასამართლოს მიერ საქმის გონივრულ ვადაში განხილვის უფლებას) და იმ კრიტერიუმებს, რასაც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო მე-6 მუხლის დარღვევის დადგენის დროს (საქმის განხილვის გონივრული ვადის დარღვევის გამო) იყენებს.

შესაბამისად, საქმის განხილვის ვადების გონივრულობა უნდა შეფასდეს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო პრაქტიკით დადგენილი შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

1) საქმის სირთულე, რომელიც შეიძლება დაკავშირებული იყოს, როგორც საქმის ფაქტობრივ, ისე სამართლებრივ სირთულესთან (Katte Klitsche de la Grange v. Italy, §55; Papachelas v. Greece, §39); რომელიც შეიძლება დაკავშირებული იყოს რამდენიმე მხარის საქმეში ჩაბმასთან (H. V. United Kingdom, §72); მტკიცებულებების გამოკვლევასთან (Humen v. Poland, §63) და ა.შ. ამასთან, იმ შემთხვევაშიც როდესაც საქმე თავისი არსით სირთულით არ ხასიათდება, თუმცა ეროვნული კანონმდებლობა არ არის ნათელი ამ გარემოებამაც შეიძლება საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურება გამოიწვიოს (Lupeni Greek Catholic Parish and others v. Romania, §150);
2) მხარეთა მოქმედებები, რაც გულისხმობს მაგალითად, ადვოკატთა ხშირ ცვლილებას (Koenig v. Germany, §103), შუამდგომლობებს, რომელიც გამიზნულია პროცესის გასაჭიანურებლად, ან უბრალოდ დაკავშირებულია გარკვეულ ვადებთან (Acquaviva v. France, §61), ასევე სხვა მოქმედებები, რომელიც უკავშირდება საქმის განხილვის ვადის გაგრძელებას;

3) საქმის განმხილველი მოსამართლის მოქმედებები, ყურადღება უნდა მიექცეს ხანგრძლივი დროის განმავლობაში მოსამართლის მიერ საპროცესო მოქმედების შეუსრულებლობას/ჩაუტარებლობას (Pafitis and others v. Greece, §93; Tierce and others v. San Marino, §31; Suermeli v. Germany, §129).

აღსანიშნავია, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, საქმის განხილვის ვადა იყო გონივრული თუ არა უნდა შეფასდეს ყოველ საქმეზე ინდივიდუალურად, საქმის კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით (Frydlender v. France, §43) და ერთიანობაში ყველა საპროცესო მოქმედების მხედველობაში მიღების შედეგად (Koenig v. Germany, §98).

მართლმსაჯულების ეფექტიანობის ევროპული კომისია (CEPEJ) სასამართლო დროის მენეჯმენტის SATURN-ის განახლებული სახელმძღვანელო მითითებების შესაბამისად აღნიშნავს, რომ საქმეები არ უნდა განიხილებოდეს შეუსაბამოდ ხანგრძლივად. აგრეთვე, ზოგიერთი გარემოების არსებობისას, ისინი არ უნდა განიხილებოდეს შეუსაბამოდ ხანმოკლე დროში, თუ ეს დააზიანებს მომხმარებელთა სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობის უფლებას.[1]

სამართალწარმოების ხანგრძლივობის გონივრულობის განსაზღვრა საქმის გარემოებების გათვალისწინებით ხდება, რაც მთლიანი წარმოების შეფასებას გულისხმობს (Boddaert v. Belgium, §36). მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა წარმოების გარკვეული ეტაპები მისაღები ტემპით მიმდინარეობდა, წარმოების მთლიანმა ხანგრძლივობამ შეიძლება მაინც გადააჭარბოს „გონივრულ ვადას“ (Dobbertin v. France, §44).

საპროცესო ვადებზე საუბრისას საინტერესოა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დამკვიდრებული პრაქტიკა, რომლის თანახმადაც სამართლიანი სასამართლოს უფლება ინსტრუმენტული ხასიათისაა, მისი მიზანია ადამიანის უფლებების და კანონიერი ინტერესების სასამართლოს გზით ეფექტური დაცვის შესაძლებლობის უზრუნველყოფა.[2] სამართლიანი სასამართლოს ძირითად უფლებიდან გამომდინარე, სასამართლოს გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნეს გონივრულად მისაღებ ვადებში, გაუმართლებელი დაყოვნების გარეშე, ვინაიდან მართლმსაჯულების გაუმართლებელი დაყოვნება ძირს უთხრის მისდამი საზოგადოების ნდობას. სამართალწარმოების ხანგრძლივობის გონივრულობა უნდა შეფასდეს საქმის კონკრეტული გარემოებების საფუძველზე.[3]

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისად, ვადებს მნიშვნელოვანი წესრიგი შეაქვს სამართლიანი სასამართლოს უფლებით სარგებლობის პროცესში, რადგანაც ვადა მნიშვნელოვან საჯარო ინტერესებს ემსახურება, როგორებიცაა: ეფექტური, ობიექტური და სამართლიანი მართლმსაჯულების უზრუნველყოფა; სამართლებრივი უსაფრთხოების, განსაზღვრულობის, სამოქალაქო ურთიერთობებში წესრიგის და სტაბილურობის დამყარება.[4]

სასამართლომ აქტიური როლი უნდა შეასრულოს სამართალწარმოების დროულ წარმართვაში. თუმცა, ევროპული კონვენციის მე-6 მუხლი მოითხოვს რა, რომ მართლმსაჯულება იყოს სწრაფი და ეფექტიანი, ხაზს უსვამს, რომ ამით არ უნდა დაზარალდეს მართლმსაჯულების სწორად (სათანადოდ) განხორციელების პრინციპი (Von Maltzan and Others v. Germany (dec.) [GC], §132), რომელიც სამართლიანი სასამართლოს უფლების უფრო ზოგადი პრინციპია.[5]

მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპების კომენტარების თანახმად, საქმეების ეფექტიანად, სამართლიანად და საკმარისად სწრაფად განხილვისას მოსამართლემ უნდა გამოიჩინოს სათანადო

[1] მართლმსაჯულების ეფექტიანობის ევროპული კომისია (CEPEJ), სასამართლო დროის მენეჯმენტის SATURN-ის განახლებული სახელმძღვანელო მითითებები (მე-2 რედაქცია), სტრასბურგი, 2014 წლის 12 დეკემბერი, გვ. 2

[2] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება №2/5/879, 2019 წლის 14 ნოემბერი, II 2 (5)

[3] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება №3/2/577, 2014 წლის 24 დეკემბერი, II 7

[4] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება №3/1/531, 2013 წლის 05 ნოემბერი, II 17-19

[5] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 23 თებერვლის განჩინება, საქმე №ას-1234-1175-2014

ყურადღება იმ მხარეთა უფლებების მიმართ, რომლებიც მის წინაშე გამოდიან და უზრუნველყოს სადავო საკითხების გადაწყვეტა ზედმეტი დანახარჯებისა და სამართალწარმოების გაუმართლებელი გაჭიანურების გარეშე.[6]

ამდენად, მხარეთა უფლება მათი სარჩელის მტკიცებულებათა შეფასების შედეგად გონივრულ ვადაში განხილვის შესახებ, მოსამართლის უპირველესი ვალდებულებაა. მოსამართლე საქმის წარმოების დასაწყისიდანვე უნდა აკონტროლებდეს სამართალწარმოების ვადებს და მის ხანგრძლივობას, მკაფიოდ უნდა განსაზღვრავდეს პროცესუალური მოქმედებების თარიღებს. საპროცესო ვადის დარღვევამ არ უნდა შეუქმნას საფრთხე მართლმსაჯულების განხორციელებას.

საპროცესო ვადებზე საუბრისას მნიშვნელოვანია ყურადღება გავამახვილოთ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილზე რომლის თანახმად, სასამართლო მხარეებს ან მათ წარმომადგენლებს უგზავნის იმ გადაწყვეტილების, განჩინების ან ბრძანების ასლს, რომელიც ექვემდებარება გასაჩივრებას იმავე ან ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში. სხვა სასამართლო აქტების ასლები მხარეებს ან მათ წარმომადგენლებს გადაეცემათ მათი წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე. წარმომადგენლისათვის გაგზავნილი დოკუმენტი ჩაითვლება მხარისათვის გაგზავნილად, ხოლო მხარისათვის გაგზავნილი – წარმომადგენლისათვის გაგზავნილად.

საქმის მასალებით დასტურდება, რომ ა(ა)იპ -- -- თავმჯდომარემ ხარვეზის შევსების შესახებ განცხადებით -- სააპელაციო სასამართლოს მიმართა 2020 წლის 22 იანვარს.

-- სააპელაციო სასამართლოს 2020 წლის 31 იანვრის განჩინებით ა(ა)იპ -- -- განცხადება -- სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 20 თებერვლის გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და საქმის წარმოების განახლების თაობაზე დასაშვებად იქნა ცნობილი და საქმის განხილვა დაინიშნა ზეპირი მოსმენის გარეშე. ხოლო სასამართლოს 2020 წლის 5 მაისის განჩინებით განცხადება -- სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 20 თებერვლის გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და საქმის წარმოების განახლების თაობაზე არ დაკმაყოფილდა. განჩინება მხარეს გაეგზავნა 2020 წლის 9 ოქტომბერს და ჩაბარდა 16 ოქტომბერს.

ამდენად, განჩინება გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და საქმის წარმოების განახლების თაობაზე დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ მოსამართლემ მიიღო განცხადების წარმოებაში მიღებიდან 3 თვესა და 4 დღეში, ხოლო მიღებული განჩინება მხარეს გაუგზავნა 6 თვესა და 2 დღეში.

გასათვალისწინებელია, რომ კერძო საჩივრით გასაჩივრების ვადა აითვლება დასაბუთებული განჩინების მხარეთათვის გადაცემიდან. შესაბამისად, მხარეს არ შეზღუდვია სასამართლო განჩინების გასაჩივრების უფლება. შესაბამისად, განცხადების განხილვის ვადა და დასაბუთებული განჩინების გაგზავნის ვადის დარღვევა, მოსამართლის დატვირთულობის გათვალისწინებით, შესაძლოა მიჩნეულ იქნეს საპატიოდ.

3.2. რაც შეეხება იმ გარემოებას, რომ მოსამართლე ერთპიროვნულად განიხილავდა დავებს, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის 1[1] ნაწილის „ა.ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მოსამართლემ შეიძლება ერთპიროვნულად განიხილოს სამშენებლო ურთიერთობიდან გამომდინარე დავა.

ვინაიდან ორივე შემთხვევაში დავა სამშენებლო ურთიერთობიდან მომდინარეობდა, მოსამართლე უფლებამოსილი იყო ერთპიროვნულად განეხილა საქმეები. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქმის ერთპიროვნულად განხილვის საკითხის არ შეიძლება განხილულ იქნეს დისციპლინური გადაცდომის კუთხით.

[6] მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრიციპები და კომენტარები, თბილისი 2015, გვ. 192, §207

**5. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:**

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის $75^{12}$ მუხლის პირველი პუნქტის მე-2 პუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრისას მხარს დაუჭერს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სრული შემადგენლობის უმრავლესობა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2022 წლის 6 მაისის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ათმა წევრმა, დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად მიიჩნია, რომ არ არსებობდა მოსამართლე -- -- მიმართ დისციპლინური დევნისა და ახსნა-განმარტების ჩამორთმევის საფუძვლები.

შესაბამისად „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის $75^{12}$ მუხლის მეორე პუნქტისა და $75^{13}$ მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე -- -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე და $75^{13}$ მუხლის პირველი პუნქტით და

**გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:**

დისციპლინურ საქმეზე №110/20 მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

**ნიკოლოზ მარსაგიშვილი**

**საქართველოს იუსტიციის**
**უმაღლესი საბჭოს მდივანი**